ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

წარმომადგენლები: ადვოკატი შ. ც,, ადვოკატი ე. რ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 039/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. თ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. თ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 14 ივნისს საჩივრით მომართა ნ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. თ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 20 იანვარს უკანონოდ მოთავსდა დროებითი მოთავსების იზოლატორში. მისი დაცვის მიზნით მისმა ოჯახმა ადვოკატად დაიქირავა კს „---“ ადვოკატი ვ. თ.. ადვოკატს კლიენტის დაცვის ფარგლებში ევალებოდა მისი ინტერესები დაეცვა გამოძიებასა და სასამართლოში. ადვოკატმა ნ. მ.-ს ინტერესები დაიცვა გამოძიების განმავლობაში. ნ. მ. წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელმაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში თავდაცვის მიზნით დააზიანა ყოფილი მეუღლე. გამოძიების მიერ მას წაეყენა ბრალი განზრახ დანაშაულის ჩადენაში. ადვოკატმა კლიენტის გამამართლებელი მტკიცებულებები არ მოიპოვა, მისი გამამართლებელი მოწმეები არ გამოკითხა, ასევე კლიენტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სასამართლოში განხილება როგორც ბრალდების მტკიცებულებები. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ვ. თ. არ გამოცხადდა მის არსებით სხდომაზე და შესავალი სიტყვის დროს კლიენტმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და რა გაეკეთებინა. გარკვეული

პერიოდის შემდეგ ნ. მ.-მ გაარკვია, რომ ადვოკატი მის ინტერესებს სრულყოფილად ვერ იცავდა. ამასთან, მას როგორც ძალადობის მსხვერპლს, პროკურატურა არ სცნობდა დაზარალებულად, გამოყოფილ საქმეზე არ მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები, რადგან ადვოკატის მიერ არ ხდებოდა საქმის მსვლელობით დაინტერესება; ვინაიდან მტკიცებულებების მოძიება ხდება გამოძიების ეტაპზე, ნ. მ. მოკლებული იყო შესაძლებლობას თავი დაეცვა და სრულიად უდანაშაულო ადამიანი ადვოკატის უმქმედობის გამო უნდა მიეცეს პასუხისგებაში. ნ. მ.-მ 2020 წლის აგვისტოში ადვოკატ ვ. თ.-სთან შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვ. თ.-მ 2021 წლის 29 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განმარტება, რომლის თანახმად, მან ნ. მ. კეთილსინდიერად დაიცვა და შეძლო უფრო მძიმე შედეგისგან ეხსნა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოჯახურ ძალადობაზე ქვეყანაში საერთაშორისო კონვენციების შიდა კანონმდებლობით გამკაცრებული სანქციების გამო, საპროკურორო და საგამოძიებო ორგანოები დამნაშავე პირების მიმართ საკმაოდ მკაცრ ღონისძიებებს მიმართავენ და ადვოკატები მათი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, თავდაპირველადვე ყველა ზომას იღებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით არ იქნეს გამოყენებული პატიმრობა, რაზეც პროკურატურას ცალსახა პოზიციები აღნიშნულ საქმეზე ფიქსირდება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ნ. მ.-მ 2020 წლის 19 იანვარს მის საცხოვრებელ ბინაში, კამათის დროს საოჯახო დანით ჭრილობა მიაყენა მის მეუღლეს, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, ხოლო ნ. მ. დააკავეს და გადაიყვანეს პოლიციის მიერ დროებითი დაკავების იზოლატორში. მეორე დილით, ოჯახის თხოვნით ადვოკატმა ვ. თ.-მ გამოწერა ორდერი და მოინახულა დაკავებული ნ. მ., რომელიც მომხდარის გამო შეშინებული იყო. ადვოკატმა კლიენტს აღმოუჩინა პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება სათანადო დარიგებებით, რომელსაც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ფარგლებში არ გაახმაურებს. ადვოკატის შუამდგომლობების და დროის მცირე მონაკვეთში დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ნ. მ.-ს მიმართ ჩადენილი ქმედებების გამო, აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო.

2.4 ბრალდებულის ოჯახმა და თავად ნ. მ.-მ აღნიშნულზე ადვოკატის სამართლებრივი მოქმედებების მიმართ დაცვის მიერ არჩეულ პოზიციაზე გამოხატეს მადლიერება. ადვოკატის წინადადებით დამატებით შესთავაზა შეექმნა და მოეპოვებინა ის მტკიცებულებები, რომლებითაც დაადასტურებდნენ, რომ მეუღლე მასზე წარსულში ახორციელებდა ძალადობრივ ქმედებებს და შემთხვევის დღეს მათი კამათი წარმოადგენდა ცოლ-ქმარს შორის არსებული დაძაბული დამოკიდებულების გაგრძელებას.

2.5 ადვოკატმა ბრალდებულის მიერ დასახელებული ინფორმაციის საფუძველზე მიაწოდა გამოძიებას მისი მეუღლის მხრიდან ძალადობის ფაქტებზე დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც შემდგომში მისი მეუღლის მიმართ ცალკე წარმოებად დაიწყო გამოძიება და მიუხედავად გამოძიების მიმართ მათი ერთობლივი მოთხოვნებისა საქმეები ერთ წარმოებად არ გაერთიანდა და მასზე გამოძიება ცალ ცალკე ეპოზოდებად მიმდინარეობდა. რამდენიმე

გამოძიების პროცესში ნ. მ.-მ სთხოვა წაყოლოდა ძალადობის მსხვერპლ ქალთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში, სადაც შესაძლებელი გახდებოდა ამ ორგანიზაციის მეშვეობით უფლებების ეფექტიანად დაცვა. 2020 წლის ზაფხულში ადვოკატმა მოამზადა მასალა და ბრალდებულთან ერთად მივიდა ამ ორგანიზაციაში, სადაც მათ წარმომადგენლებს მიაწოდა სრული ინფორმაცია მომხდარ ფაქტზე და გააცნო მათ დაცვის პოზიცია. ამის შემდეგ ბრალდებულმა, 2020 წლის აგვისტოში აცნობა, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ იკისრა მისი შემდგომი დაცვის ფუნქციების შესრულება მისი გამართლების მოტივით და ადვოკატის მომსახურებას არ საჭიროებდა, რის შემდეგაც ჩამოშორდა ბრალდებულის დაცვის ფუნქციებს და საქმეზე შემხებლობა არ ჰქონია.

2.6 თუ გამოძიების მსვლელობისას ადვოკატის მიერ განხორციელებული დაცვის დროს არ განხორციელდა გამოძიებასა და სასამართლოში მისი მეუღლის მხრიდან ძალადობის მისი ინიციატივით დაწყებული შემოწმებისას და შეურაცხყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელი საფუძვლით და როგორღა გამოჰყო პროკურატურამ ცალკე წარმოებად ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ოჯახური ძალადობის ფაქტებზე. რაც შეეხება ადვოკატის მიერ ოჯახის ზოგიერთი ახლობელი პირის გამოკითხვის არარსებობის ფაქტს, ნ. მ.-მ იცის, რომ აღნიშნულმა პირებმა უარი განაცხადეს ადვოკატის მიერ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ცოლ-ქმართან ახლო ურთიერთობის გამო, რაც თავად აცნობა ბრალდებულმა და დაცვის მხარემ ეს საკითხი ოფიციალურად გამოძიების ვალდებულებად მიიჩნია.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იგი სასამართლოში და გამოძიებაში ყველა სამართლებრივ მოქმედებას ათანხმებდა ბრალდებულთან და ამის საჯარო განმარტებების უფლება ეთიკური თვალსაზრისით არ აქვს. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს მის მიმართ პრეტენზია გაუჩნდა მისი საქმიდან ჩამოცილებიდან წელიწადნახევრის შემდეგ. ნ. მ.-ს დაცვისას, დაცვის მიერ ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია ნ. მ.-ს დაცვის მოტივით პროცესუალურად სწორად, ბრალდებულთან ყველა სადაო საკითხის წინასწარ მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, კლიენტის საჩივარში დაყენებული მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ვ. თ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ნ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 14 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების

შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზიები - ადვოკატმა არ მოიპოვა კლიენტის გამამართლებელი მტკიცებულებები, არ გამოკითხა მისი გამამართლებელი მოწმეები; კლიენტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სასამართლოში განხილება როგორც ბრალდების მტკიცებულება; ადვოკატი არ გამოცხადდა საქმის არსებით სხდომაზე და შესავალი სიტყვის დროს კლიენტმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და რა გაეკეთებინა; ადვოკატი არ დაინტერესდა საქმის მიმდინარეობით, რომ საჩივრის ავტორი როგორც ძალადობის მსხვერპლი პროკურატურას დაზარალებულად ეცნო და გამოყოფილ საქმეზე წარმართულიყო საგამოძიებო მოქმედებები, შეამოწმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ა) აპეკ-ის მე-8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ბ) აპეკ-ის მე-8.2 მუხლი: ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.”

გ) აპეკ-ის მე-8.6 მუხლი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ.”

5.2 საჩივრის ყოველმხრივ გამოკვლევისთვის საპროცესო კოლეგიამ გადაწყვიტა ნ. მ.-ს საქმის ზეპირი განხილვა და საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 5 ივლისს 12:00 სთ-ზე. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მას სურდა წარმომადგენლების საქმეში ჩართვა და დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა. კოლეგიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა გადაიდო 15 ივლისს 14:00 სთ-ზე. ნ. მ.-ს ინტერესების წარმომადგენლად ჩაერთო ადვოკატი შ. ც. (2021 წლის 14 ივლისიდან). წარმომადგენელმა შ. ც.-მა დააყენა შუამდგომლობა 15 ივლისის სხდომის გადადების თაობაზე მისი შვებულების გამო, რაც ასევე დაკმაყოფილდა და სხდომა ჩაინიშნა 28 ივლისს 11:15 სთ-ზე. 28 ივლისს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დამატებითი საქმის მასალების წარმოდგენაზე და ამ საფუძვლით გადაიდო საქმის განხილვა. ნ. მ.-ს ინტერესების წარმომადგენლად დამატებით ჩაერთო ადვოკატი ე. რ. (2021 წლის 16 აგვისტოდან). საპროცესო წესით შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 16 სექტემბერს 12:15 სთ-ზე, რომელზეც ადვოკატმა შ. ც.-მა დააყენა შუამდგომლობა კოლეგიის წევრის აცილების შესახებ, რამაც გამოიწვია სხდომის გადადება, ვინაიდან ადვოკატმა ითხოვა დრო დასაბუთებული სახით აცილების შუამდგომლობის წარმოდგენისთვის. ადვოკატის შუამდგომლობა საპროცესო კოლეგიის წევრის აცილების თაობაზე დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა, თუმცა მოახლოებული ადვოკატთა საერთო კრების გამო, რომელზეც ეთიკის კომისიის არჩევნები ტარდებოდა, შეჩერდა საქმეზე წარმოება. ეთიკის კომისიის მიმდინარე შემადგენლობამ განაახლა საქმეზე წარმოება და მათ შორის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩანიშნა 1 თებერვალს 13:00 სთ-ზე. ადვოკატმა შ. ც.-მა კოლეგიას მომართა სხდომის გადადების შუამდგომლობით. ადვოკატის განმარტებით, მითითებულ დროს მას პროცესი ჰქონდა, რის შესახებ ცნობას წარმოადგენდა. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 1 თებერვლის

სხდომის გადადების თაობაზე და სხდომა გადაინიშნა 8 თებერვალს 13:00 სთ-ზე. ადვოკატს ცნობა არ წარმოუდგენია. ნ. მ.-ს წარმომადგენლები არ გამოცხადნენ 8 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატ შ. ც.-ის განმარტებით, დილიდან იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებაზე, შესაბამისად, შექმნილი ობიექტური საპატიო მიზეზიდან გამომდინარე, მისი დაცვის ქვეშ მყოფი და ის ვერ შეძლებდნენ 13:00 საათზე ჩანიშნულ სხდომაზე მონაწილეობას. ნ. მ.-ს და მის წარმომადგენლებს ეცნობათ, რომ რადგან საქმის ზეპირ განხილვაში ჩართვის საშუალებით არ ისარგებლეს, კოლეგიამ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში წარმოება გააგრძელა ზეპირი განხილვის გარეშე. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების თანახმად, წარმოების საპროცესო ეტაპი არ არის შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული, კერძოდ, მხარეების გამოკითხვა ხდება ცალ-ცალკე, ამასთან მხარის ზეპირ სხდომაზე გამოკითხვა წარმოადგენს კოლეგიის უფლებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით საჩივრის ავტორს არაერთხელ მიეცა საკუთარი პოზიციის სრულად წარმოდგენის შესაძლებლობა, მან წარმოადგინა საქმის მასალები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ხოლო საქმის ზეპირ განხილვაში არ მიიღო მონაწილეობა, რაც მისი უფლებაა. კოლეგიას პროცედურულად აქვს სრული უფლება საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

5.3 საპროცესო კოლეგია ნ. მ.-ს პრეტენზიებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (დისციპლინური საქმე N089/17, პარ. 6.3.8).

5.4 ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8).

5.5 შედეგად, იმ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე,

და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა.

5.6 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ეთიკის კომისია შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:

- ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;
- ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;
- ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;
- ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.

5.7 დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი ვ. თ. ნ. მ.-ს დასაცავად სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო 2020 წლის 20 იანვარს. მას კლიენტის ინტერესები უნდა დაეცვა გამოძიებასა და სასამართლოში (ორდერი N). ეთიკის კომისიამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმე, რომლის მიხედვითაც დგინდება შემდეგი ფაქტები და ადვოკატის მიერ კლიენტის დასაცავად კონკრეტული სამართლებრივი მოქმედებების შესრულება:

- ნ. მ.-ს მიმართ გამოძიება დაიწყო 2020 წლის 19 იანვარს (სისხლის სამართლის საქმე N) სსსკ-ის 11^1-120-1 მუხლის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ 2020 წლის 19 იანვარს ბრალდებულის დაკავება და პირადი ჩხრეკა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოღება, მოწმეთა სტატუსით (გ. ფ., ზ. ბ., ნ. გ., ი. კ.) გამოკითხვები ჩატარდა ადვოკატის გარეშე. გ. ფ. (ნ. მ.-ს მეუღლე) 2020 წლის 20 იანვარს იცნო დაზარალებულად;
- ადვოკატ ვ. თ.-ის 2020 წლის 20 იანვრის ორდერით N, ადვოკატმა აიღო ვალდებულება ნ. მ. დაეცვა გამოძიებასა და სასამართლოში;
- ნ. მ.-ს 2020 წლის 20 იანვარს წარედგინა ბრალი და იგი დაიკითხა ბრალდებულის სტატუსით, ადვოკატის ჩართულობით. ადვოკატმა 2020 წლის 20 იანვარს მონაწილეობა მიიღო მტკიცებულებათა გაცვლაში და მას გადაეცა ბრალდების მხარის მტკიცებულებები;
- 21.02.20 წელს ადვოკატი ვ. თ. მონაწილეობს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნით წარმართულ სხდომაში (საქმე N). პროკურატურა ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. ადვოკატი ვ. თ. არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას. ნ. მ.-ს შეეფარდა გირაო (4000 ლარი);
- 2020 წლის 22, 25 თებერვალს მოწმეთა სტატუსით გამოიკითხნენ (ლ. ლ., ე. მ., ლ. მ., ე. კ., ზ. ფ.) პირები;
- 2020 წლის 24 თებერვალს გამოიკითხა ნ. მ. ბრალდებულის სტატუსით ადვოკატის მონაწილეობით. ამავე დღეს საქმეზე დასართავად გამომძიებელს წარედგინა 2020 წლის 18 იანვრის ინციდენტის აუდიოჩანაწერის ნაწილი, ასევე 2019 წლის 26 ივლისის ფოტოსურათები, როდესაც ნ. მ.-ს მისმა მეუღლემ ესროლა ჩანთა და მიიღო სახეზე დაზიანება;

- 2020 წლის 24 თებერვალს ნ. მ.-ს აუდიოფაილს ჩაუტარდა დათვალიერება;
- 2020 წლის 25 თებერვალს ნ. მ.-ს საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და იგი ბრალდებულად ცნეს სსსკ-ის 11^1-120-2 ბ მუხლის საფუძველზე (დაზუსტებული ბრალდება). ოქმის შედგენას დაესწრო ადვოკატი;
- 2020 წლის 25 თებერვალს ნ. მ.-ს მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო გ. ფ.-ის მიმართ საქმის წარმოება (სსსკ-ის 126 1 მუხლის პირველი ნაწილის კვალიფიკაციით), რადგან ნ. მ.-ს საქმის წარმოებისას დადგინდა მისი მეუღლე მის მიმართაც ძალადობდა;
- ადვოკატმა 2020 წლის 25 იანვარს მიიღო მონაწილეობა მტკიცებულებათა გაცვლაში და მას გადაეცა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, ასევე სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა;
- ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2 მარტს სასამართლო განხილვაში საქმე 1-873-20, ნ. მ.-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ. ამავე სხდომაზე ადვოკატმა ვ. თ.-მ სადავოდ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. ბრალდების მხარის მტკიცებულებები სასამართლომ სადავოდ ცნო და დამტკიცდა როგორც სადავო მტკიცებულებები. 2020 წლის 2 მარტს ადვოკატმა მიმართა სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რადგან მისი კლიენტი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში;
- საქმეზე ჩაინიშნა არსებითი განხილვა 16 მარტს. 16 მარტს სხდომის ოქმით (საქმე 1-873-20) დგინდება, რომ ადვოკატი ვ. თ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ გამოცხადდა პროცესზე. ნ. მ. თანხმობას აცხადებს ადვოკატის ჩართულობის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა შესავალი სიტყვის წარმოდგენამდე, რომელსაც შემდეგ პროცესზე ადვოკატის მეშვეობით წარმოადგენდა. სასამართლო სხდომა გადაინიშნა 4 მაისს 17:00 საათისთვის.

5.8 საჩივრის ავტორი ნ. მ. უთითებს, რომ ადვოკატი არ გამოცხადდა საქმის არსებით სხდომაზე და შესავალი სიტყვის დროს კლიენტმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და რა გაეკეთებინა. 16 მარტს სხდომის ოქმით (საქმე N) დგინდება, რომ ნ. მ.-სთვის ცნობილია ადვოკატი ვ. თ.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი - ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობა და კლიენტი თავად აცხადებს თანხმობას, რომ ადვოკატის ჩართულობის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა შესავალი სიტყვის წარმოდგენამდე, რომელსაც შემდეგ პროცესზე ადვოკატის მეშვეობით წარმოადგენდა. სასამართლო სხდომა გადაინიშნა 4 მაისს 17:00 საათისთვის. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია 4 მაისის სხდომის ოქმი, შესაბამისად ვერ დგინდება რა მოხდა 4 მაისის არსებითი განხილვის სხდომაზე.

5.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის

კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები).

5.10 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ნ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის ჩართულობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვ. თ. სრულად აკმაყოფილებს კვალიფიციურად მომსახურების იმ სტანადრტს, რომლის ფარგლებშიც ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეისწავლოს ადვოკატის მომსახურება. საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით, მოქმედებდა მისი კანონიერი და ეთიკური მითითებების ფარგლებში, იცავდა კლიენტის ინტერესებს არსებითად და არა ფორმალურად, ადვოკატის ახსნა-განმარტება ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად. არსებული პრაქტიკის (დისც. საქმე №039/19, პარ. 5.6, დისც. საქმე №062/18, პარ. 6.13, შეადარეთ ასევე დისც. საქმე №051/16, პარ. 6.6, დისც. საქმე №151/13, პარ. 5.9) შესაბამისად, კოლეგია არ ამოწმებს ადვოკატის საპროცესო მოქმედებების ხარისხს და შერჩეული სტრატეგიის ეფექტიანობას.

5.11 ნ. მ.-ს საჩივრიდან და სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, ადვოკატ ვ. თ.-ის განმარტებიდან დგინდება, რომ ადვოკატის თითოეული საპროცესო მოქმედება შეთანხმებული იყო კლიენტთან და მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების ჯეროვან დაცვას გამოძიებასა და სასამართლოში. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ვინაიდან კლიენტი დეტალურ ინფორმაციას ფლობდა ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედების თაობაზე, რასაც თავად საჩივრის ავტორის წერილობითი და ზეპირი განმარტებაც ადასტურებს, ადვოკატს ჰქონდა კლიენტთან უწყვეტი კომუნიკაცია, საქმის ყველა დეტალზე თავისი ინიციატივითაც უკავშირდებოდა და კლიენტს არ შეზღუდვია მასთან დაკავშირება, ნ. მ. ინფორმირებული იყო საქმის მიმდინარეობისა და ადვოკატის მიერ შესრულებული მოქმედებების თაობაზე. ადვოკატ ვ. თ.-ის მიერ დაცულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებით დადგენილი პროფესიული ქცევის სტანდარტები.

5.12 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №039/21 ადვოკატ ვ. თ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/მამუკა ნოზაძე/
კოლეგიის წევრი:	/ანა კოტეტიშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ბესარიონ ბოხაშვილი/